საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 893-02
17/06/2020

სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში“ „ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების'' მე-19 მუხლის პირველი პუნქტის და მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ”თ” ქვეპუნქტის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N 01-227/ო ბრძანების „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ „ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა“ ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული გეგმა განათავსოს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსს გიორგი მამუჩაშვილს და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ვასილ მარგალიტაძეს.
4. დაევალოს კანცელარიას, ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი